საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №12
2023 წლის 17 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებით (ვებგვერდი, 16/01/2018; სარეგისტრაციო კოდი: 280120000.22.026.016549) დამტკიცებულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. №2 დანართის:

ა) მე-9 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

9	წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ენობრივი მომზადების სკოლის ტესტირების სპეციალისტი, წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ენობრივი მომზადების სკოლის მასწავლებელი (ინგლისური ენის, გერმანული ენის, თურქული ენის, რუსული ენის, ფრანგული ენის), ლაზარეთის უფროსი, ჯგუფის უფროსი (სამედიცინო), სამედიცინო პუნქტის უფროსი, უფროსი ექიმი	CP-16	1,950

“.

ბ) მე-10 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

10	მთავარი სპეციალისტი, მთავარი სამხედრო მოძღვარი (კაპელანი), მთავარი ინჟინერი, მთავარი მექანიკოსი, უფროსი ინსპექტორი, გამომძიებელი, ექიმი, სტომატოლოგი, უმცროსი ექიმი	CP-15	1,895

“.

გ) მე-12 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

12	უფროსი სპეციალისტი, უფროსი სამხედრო მოძღვარი (კაპელანი), უფროსი ინჟინერი, უფროსი მასწავლებელი, ინსპექტორი, პუნქტის უფროსი, სექციის მეთაური, სადგურის უფროსი, უფროსი მუსიკოსი, წამყვანი მენეჯერი (სამუშაოთა მწარმოებელი)	CP-13	1,780

“.

დ) მე-13 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

13	ინჟინერი	CP-12	1,705

“.

2. №2[1] დანართის მე-7 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

7	ბუღალტერი, ბუღალტერ-აღმრიცხველი, აღმრიცხველი, ფარმაცევტი, აღრიცხვის სპეციალისტი, სპეციალისტი	PS-2	0.85	0.90	1.00	1.15	1.30	1.50

“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **გრიგოლ გიორგაძე**